



# ილორი

www.ilorige



ქართული  
ბიზნისი

№136 (195) 13-20 სექტემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამებროს“ ორგანო 30 თეთრი

## SOS! SOS! SOS! SOS! საქართველო იღუპება!!! აუშ სანაღვიფო დეპარტამენტი: ნარკოტიკების მოხმარებით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის არცერთ გამოსვლაში, რატომღაც, ერთი სიტყვაც არ ყოფილა ნახსენები ქვეყნის ნომერ პირველი პრობლემის – ნარკომანიის, შესახებ. თითქოს ქვეყანაში ერთი ნარკომანიც არ არსებობს. სირაქლემას პოზიცია ჩვენი ხელისუფლების საყვარელი პოზა რომ არის, გასაგებია, მაგრამ წლიდან წლამდე ნარკომანთა რიცხვი საგანგაშოდ რომ იზრდება და ქვეყანა ნარკოტიკების ტრანზიტად იქცა, ამას თავის სიღაში ჩამალვა არ უშეუძლია.

დღეს ქვეყნის მთავარი პრიორიტეტი და საზრუნავი ტურიზმის განვითარებაა, და ეს მაშინ, როცა 4-მილიონიან საქართველოში 300 000 ნარკომანია.

საქართველოში ნარკოტიკები მდინარესავით შემოედინება, კალაპოტიც ბრწყინვალე აქვს, ხელს არავენ უშლის. მერე რა, თუ ქვეყნის მთელი ახალგაზრდობა წაღვეს!

ცნობისთვის: ყოველწლიურად საქართველოში 2,4 ტონა ჰეროინი იყიდება, საიდანაც ნარკოტრეალიზატორები, სულ მცირე, 700-მილიონიან მოგებას ნახულობენ. 2 წლის განმავლობაში კი პოლიციამ მხოლოდ 18 კილოგრამი ჰეროინი ამოიღო.

2009 წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებსა და დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ ავღანური ჰეროინის მსოფლიოს მასშტაბით გაერცვლების საკითხზე მოხსენება გაავრცელა. მასში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად საქართველოს გავლით ევროპაში 7 ტონა ჰეროინი შედის, ხოლო მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან – 11 ტონა. გარდა ამისა, 2011 წლის თებერვალში საქართველო, როგორც ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცემოხსენია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომელიც ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლს ეხება.

ანგარიშის მიხედვით, მიზეზი საქართველოს ევროპასა და აზიას შორის მდებარეობაა. აქვე აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მთავარი მარშრუტით ნარკოტიკები საბერძნეთიდან და თურქეთიდან საქართველოს გავლით დასავლეთ ევროპაში ხვდება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე ნარკოტიკების მოხმარებით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით მოკრძალებულ კომენტარებს აკეთებს და სიამაყით უსვამს ხაზს, რომ „სერიოზულად

ებრძვის“ ამ სენს. თუმცა გაუგებარია, რით გამოიხატება სერიოზული ბრძოლა ამ კუთხით.

„ამ ბრძოლის“ ერთ-ერთი ნაწილი უნდა იყოს მარიხუანას ლეგალიზაციის შესახებ უკანასკნელ პერიოდში გახშირებული საუბრებიც! მისი ლეგალიზება, ფაქტობრივად, სამთავრობო სტრუქტურებში არაღელვარად მოღვაწე ნარკობარონების საქმიანობის ნებართვას ნიშნავს. მიზეზი, რომ თითქოს მარიხუანა მსუბუქი ნარკოტიკია, აბსურდულია.

სტატისტიკის მიხედვით, სამკურნალოდ მისულ პაციენტთა შორის პირველ ადგილზე ჰეროინის მომხმარებელი არიან, მეორეზე კი – კანაფის.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარიხუანას მომხმარებლის აღქმის უნარი მეორე დღეს სამჯერ ნაკლებია. მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ცხოვრების დაბალი დონე გამოწვეულია მოსახლეობის უმრავლესობის მიერ კანაფის მოხმარებით. ეს ნარკოტიკი იოლად იწვევს განცხრომის გრძობას, კარგად ჰყოფნის განცდას, რაც აბრკოლებს მისწრაფებას რადაციკენ. ებრძვის ხელისუფლება ქვეყანაში ნარკოტიკებს, ოღონდ – არაფრის კეთებით!

ნარკომანთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, მასთან ერთად – ნარკოტიკთა სახეობებიც.

მაგალითისთვის, წელს საქართველოში ახალი ნარკოტიკული საშუალება, ე.წ. „ნიანგი“ გამოჩნდა, რომელიც აფთიაქებში ხელმისაწვდომი პრეპარატებისგან მზადდება კუსტარულად. ნარკოტიკული საშუალების დამზადებისას, სხვა ნივთიერებებთან ერთად, ტოქსიკური ნარკოტიკი „კოროტი“ გამოიყენება, რომელიც საყოფაცხოვრებო პრაქტიკაში კანალიზაციის სისტემის გასაწმენდად მოიხმარება. ეს „კოკტილი“ როგორ ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, უკვე სხვა საკითხია.

უამრავ ზიანთან ერთად, „ნიანგი“ გაცილებით უფრო ხშირად იწვევს ზედოხირებას, აქამდე გაერცვლებული კუსტარული ამფეტამინებისგან („ვინტი“, „ჯეფი“) განსხვავებით. დოზის გადაჭარბების ყოველი შემთხვევა კი ძირითად შემთხვევაში ლეტალური სრულდება. ავადმყოფი და მისი ახლობლები ერიდებიან, მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს, რადგან დახმარებას თან სდევს ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე პოლიციის ინფორმირება; „ნალოქსონი“, რომელიც ზედოხირების შემთხვევაში სასიცოცხლოდ აუცილებელ პრეპარატს წარმოადგენს, ამჟამად აფთიაქებში არ იშოვება, რადგან უკვე 8 თვეა, ქვეყანაში აღარ შემოტანილია რეგისტრაციის ვადის დამთავრების გამო.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ამ მედიკამენტის შემოტანის განახლებაზე არავენ ზრუნავს. ესეც ერთ-ერთი მხარეა სახელმწიფოს ნარკოტიკებთან „მკაცრად ბრძოლის“!

**P.S.** ნებისმიერი სახის ნარკოტიკის მოხმარება დროთა განმავლობაში იწვევს ძლიერ ტკივილს, უძილობას, გადაღლას, უსაფუძვლო შიშებს, უმადობას, მხედველობით და სმენით ჰალუცინაციებს, ნარკოტიკის დაუძლეველ სურვილს. ნარკოტიკი ანგრევს ადამიანის ორგანიზმს, აზიანებს ნერვულ, გულსისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელ სისტემებს, ღვიძლს, ძვლის ტვინს, სასქესო ორგანოებს. ადამიანს ეკარგება ცხოვრების ინტერესი და მთელი არსებით ნარკოტიკს ეჯახება. პიროვნება დეგრადაციას განიცდის, შესაძლოა, დაემართოს პარანოია და ფსიქოზი.

ნარკომანი კრიმინალურ გარემოცვაში ტრიალებს, მისი სიცოცხლე კი მუდამ საფრთხეშია.

საქმინფორმირი

## შესანიშნავი ქართველი პოეტი და სამოთხოს სიყვარული რაფაელის პატივით რამაზ კუპრაძას გარდასვალაბიდან ერთი წელი გავიდა



### მორთი ღურუ

ირ ღიუ-ღაუს ყუდშა მუნმურს  
ქოთ შქირენი, ქოთი ჩხურუ,  
მარდიშენი, მორთი, ღურუ  
თი შარაშა მიდმოწურე...  
თინა ხოლო ქიშიღებე  
ოლაფარეს ქალაბღურე,  
სო იტყობუქ, მორთი, ღურუ  
სკანდა შურო ვამოშქურუ...  
თავრე კარაკანო ვორწყექ  
სო მიტახან სასაფულეს,  
მორთი, მორთი, მორთი ღურუ.  
სქან მონჭაფას ბგინაფულე...  
თექ ქიმურქუნ თი ქიანაშა,  
მა ონჯლორე ვადმაგურე,  
თიშენ ნამდა, ირფელ მიჩქუ  
თაქ მუ რე დო, თექით მურე...

### მოდი, სიკვდილო!

ყოველ დღე და, ყოველ ღამე,  
დამშეული, წანწალით,  
მოდი ჩემთან, სიკვდილო, და  
იმ ქვეყნის გზა მასწავლე...  
მე მზადა ვარ იმისთვისაც,  
რომ დავეცე სამზადისში,  
ნუ ხუნტრუცობ, ნუ მაშინებ,  
რას დამაკლებს შენი ჯიში!  
აქედან ვგვრეტ, რიბირაბოდ,  
სადაც თხრიან ჩემს სამარეს,  
მოდი, მოდი, შენ, სიკვდილო,  
სასუფეველს მიმბარე!  
იმ ქვეყანად როცა წავალ  
სირცხვილი არ შემაწუხებს,  
იმითომ, რომ ისიც ვიცი,  
იქ და აქ რა წესი სუფევს...


ქართულად თარგმნა  
როლანდ ჯალალანიამ

მასალები იხილეთ მე-6 გვერდზე









# ბერი XX საუბუნის საუბითაო მინჯარი

## თარჯანი როლანდ ჯალაღანი

მაღალითად, საკმაოდ ვრცელი ნაშრომის (გვ.გვ. 806-912, მეორე ტომის მეხუთე წიგნი – “საბჭოთა ატომური პროექტის დოკუმენტები და მასალები”) დასმარე ლიტერატურაში ბერია მხოლოდ სამჯერაა მოხსენებული, წმინდად სამსახურეობრივი ფრაზებით.

აი, ისინი: სამშობლოს წინაშე დასმული ამოცანების განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, ატომურ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს ხელმძღვანელობა ამხანაგმა სტალინმა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალებში სტალინის სახელიც მეტად იშვიათად მოიხსენიება) დაავალა თავის უახლოეს და ერთგულ თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს ძე ბერიას. ამხ. ლ.პ. ბერია დაინიშნა სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარედ.

“საქმიანობის დაწყების პირველივე დღიდან სპეციალურმა კომიტეტმა, ლავრენტი ბერიას მეთაურობით, ფართოდ გაშალა სამუშაოთა ფრონტი და საფუძველი ჩაუყარა ახალი წარმოება-დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ბიუროების, საცდელი დანადგარების მშენებლობას და ატომური პროექტის სამუშაოებში სპეციალიზირებული ორგანიზაციების ჩართვის საქმეს”. “მშენებლობის (პირველი რეაქტორის – ს.კ.) პროცესების მიმდინარეობის თაობაზე ყოველდღიურად მოხსენებებოდა ლავრენტი პავლეს ძე ბერიას, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებდა და იღებდა შესაბამის ზომებს”. სულ ეს არის!

სულ ეს არის! სამაგიეროდ მასალებში საკმაოდ “გულუხვად” არიან მოხსენიებული სხვები: “სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიორგი მაქსიმოვიანეს ძე მალენკოვი”, “დიდი საბჭოთა სწავლული-მეცნიერი ატომური ფიზიკის დარგში აკადემიკოსი ი.ვ. კურჩატოვი”, “გამოცდილი სამეურნეო დარგის ხელმძღვანელები და გამორჩეული ტალანტის მქონე ინჟინრები ბ.ღ. ვანნიკოვი, ა.პ. ზავენიავანი, მ.გ. პერეჟინი, ვ.ა. მახნევი”, “გამოცდილი ინჟინერი და გამორჩეული ორგანიზატორი... ე.პ. სლაესკი”, “ენერგიული, საქმის შესანიშნავად მცოდნე ინჟინერი და კარგი ორგანიზატორი ა.ს. ელიანი” და სხვები.

“მასალებში...” მოხსენიებულია ათობით სახელი, მათ შორის, დასახელებული არიან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში მოღვაწე გერმანელი მეცნიერები ჰერცი, ბარგინა, სტეინბეი, ფოლმერი, შიურტცე, ტისენი, არდენე, რილია, ვირცა... ცალკე თავი დაეთმო კადრებთან მუშაობის საკითხს, სადაც მეტად შეზღუდულად გატარდა სტალინის აზრი: “რუსული რეჟიმის უფროსი ენერჯია – ეს ის მაცოცხლებელი ძალაა, რომელიც აზროვნებს, მიიწვევს წინ, ანგრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას. უამისოდ შეუძლებელია ყოველგვარი წინსვლა”.

ეს გახლდათ პრობლემისა და ეპოქის კოლექტიური დოკუმენტური პორტრეტი, მაგრამ არა პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურის – ლავრენტი ბერიას პორტრეტი.

არა და, მართლაც დიდია ამის ცოუნება! თუმცა, ცოუნება რომ ყოფილიყო, მაშინ “მასალები...” დაიწერებოდა სულ სხვაგვარად – ბერიას პიროვნების წინაშე. ეს კი დაწერილია “კოლექტივის

### წარმოსაჩენად”.

ასე რომ, ლავრენტი ბერიას დიდად მოძულე პიროვნების მიერ შეგროვებული “მასალები...” თავისთავად მეტყველებენ, რომ ბერიას განდიდების მანია სრულიად არ აწუხებდა და იგი მეტად გულწრფელი და თავმდაბალი ადამიანი გახლდათ.

ამ წიგნზე მუშაობისას მე მრავალ “მემუარს”, “მოგონებას”, “ჩვენებებს” და გამოსვლათა სტენოგრამებს გავეცანი, სადაც ბერიას შეფასებები უადრესად ტრაფარეტულია: “ქამელეონი”, “დაუოკებელი კარიერისტი”, “დესპოტი”, “განდიდების მანიით შეპყრობილი არაკაცი” და ა.შ.

მაგრამ, აი, ლოკომოტი. იგი უშუალოდ ბერიას მეტავალყურეობითაა დაწერილი და მისივე რედაქტირებულია. მაგრამ, სად არის აქ “განდიდების მანიით შეპყრობილი არაკაცი”?

ადამიანის საქციელი ხომ მისი ბუნების ამომსხველი ლაკმუსია. ხრუშჩოვმა, როგორც კი ხელისუფლების სათავეში მოვარდნა, 1954 წელს უკვე დაიკიდა “სოციალისტური შრომის გმირის” ვარსკვლავი, 1961 წელს კი უკვე სამგზის სოციალისტური შრომის “გმირი” იყო. ხოლო მისი სიხარბე და განდიდების მანია იმდენად ძლიერი იყო, რომ 70-წლის იუბილის აღსანიშნავად საკუთარი პერსონა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით დააჯილდოვა.

ბერია კი მხოლოდ იმ ვარსკვლავებით კმაყოფილდებოდა, რომლებიც, მისი მცდელობით, სახელმწიფოს აღმშენებლობის უბნებზე კიავობდნენ. მას არ აინტერესებდა ჯილდოები და ამიტომაც, მთელი მისი “ატომური მოღვაწეობა” მხოლოდ ერთი ჯილდოთი აღინიშნა – სოციალისტური შრომის გმირი გახდა. მაგრამ იმ პერიოდის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საიდუმლო საბუთებიდან იხატება დიდი სახელმწიფო მოღვაწის, ჭკვიანი, შესანიშნავი რეაქციის მქონე ორგანიზატორის, იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობ პრობლემებში იმდენად წვდომის უნარის მქონე, ადექვატური პიროვნების საინტერესო და მიმზიდველი პორტრეტი, რომელსაც კადრების განაწილების საოცარი ალღო ჰქონდა და არა რეპრესიებისადმი მიდრეკილება, რომელიც მხრუნველობას არ აქვებდა მის თვალსაწიერში მყოფ ადამიანებს.

სატონად რომ ვთქვათ, იგი სამუშაოებს უძღვებოდა არა უროთი და მათრახით, არამედ უხუსტესი დირექტივებით, ზოგჯერ კი – მტკიცე ხელითაც. მაგრამ განა მტკიცე ხელი არ სჭირდებოდა იმდროინდელ მცონარებსა და უხერხემლო ჩინოვიკებს თუ დაბალი რგოლის მუშაკებს. განა სხვაგვარად შეიძლება უხელმძღვანელო ვეებურთულა სახელმწიფო სიერცეში მოქცეულ დარგებს? ქურდების, უპასუხისმგებლო ადამიანებისა და კორუპტირებული ჩინოვიკებისადმი მიმტვებლობა ხომ ყოველთვის დიდ უბედურებად უბრუნდება სახელმწიფოს!

ბერია ქვეყნის აქტიურ ცხოვრებას ჩამოაცილეს 1953 წლის 26 ივნისს, მაგრამ მხიარადებები ჯერ კიდევ ჩვეული რიტმით ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. პირველი წყალბადის ბომბის PDC-6-ის მოლოდინში წამიერად მიიღია ივლისი და აგვისტო. როგორც იქნა დაღვა გამოცდის დღე – 1953 წლის 12 აგვისტო... გამოსაცდელ მოედანზე, რომლის ცენტრს წარმოადგენდა 40 მეტრის სიმაღლის ანძა და რომელზეც მოთავსებული იყო წყალბადის ბომბი, განთავსებული იყო სხვადასხვა ტიპის ნაგებობები, შენობები, ხიდები, ბლინდაჟები...

1300 ერთეული გამოზომი, ფოტო და კინოგადაღებები, 1700 ინდიკატორი – ისევე როგორც პირველი ატომური ბომბის გამოცდისას, – აფეთქების მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდნენ, იმიტომ, რომ წყალბადის ბომბის აფეთქებას იგივე პოლიტიკური ექო უნდა მოჰყოლოდა, როგორც 1949 წელს მოჰყვა ატომური ბომბის აფეთქებას.

წყალბადის ბომბის გამოცდას ხელმძღვანელობდა სსრკ საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი მალიშევი, ხოლო

თვით აფეთქების ძალა უნდა ყოფილიყო 400 ათასი ტონა ტრინიტროტოლუოლის აფეთქების ექვივალენტური!

პოლიგონზე თავი მოიყარა მრავალმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ. საკმარისია წარმოვიდგინოთ კურჩატოვის მიერ შედგენილი სია, რომლებიც “პირად დაკვირვებას ახდენდნენ აფეთქებაზე”.

იქ იყო სამი აკადემიკოსი – მ.ვ. კელდინი, მ.ა. ლავრენტიევი და ა.დ. სახაროვი, მომავალი აკადემიკოსი მ.ა. სადოვსკი და მომავალი “წევრ-კორესპონდენტები” დ.ი. ბლოხინცევი, ლ.ა. გალინი, ვ.პ. ჯელეპოვი, ბ.ს. ჯელეპოვი, გენერალ-ლეიტენანტები ი.ფ. ჩუხნოვი, ს.ვ. როგინსკი, ი.ს. გლებოვი, ვ.ვ. როდესტვენსკი, გენერალ-მაიორები მ.ნ. კონეგინი და პ.ს. ვოსკრესენსკი...

როგორც იქნა, ადგილობრივი დროით, შესრულდა 7 საათი და 30 წუთი (მოსკოვის დროით 4 საათი და 30 წუთი). “ცეცხლვანი ბურთის” მეთოდით განსაზღვრული განათებული ზონის ტემპერატურა უახლოვდებოდა მზის ტემპერატურას, იმიტომ რამდენიმე კილომეტრზე განთავსებულ სამეთვალყურეო პუნქტს რამდენიმე წამით გაანათებდა ადამიანის ხელით შექმნილი ვარსკვლავი!

ცეცხლის თვალისმომკრელი ბურთი 170 კილომეტრის დაშორებიდანაც კი მოხიანდა. აფეთქების სიმძლავრე განსაზღვრა 400-500 ათასი ტონის აფეთქების ექვივალენტით. ეს იყო დიდი წარმატება! და, თანაც როგორი წარმატება!

20 აგვისტოს გახუთმა “პრავდაში” გამოაქვეყნა სამთავრობო განცხადება “საბჭოთა კავშირში პირველი წყალბადის ბომბის გამოცდის შესახებ”.

და ეს ყველაფერი ხდებოდა იმ ადამიანის გარეშე, რომელსაც მეატომები და მერაკეტები ურთიერთსაუბარში უბრალოდ მოიხსენიებდნენ “ლ.პ.”-დ.

მაგრამ, ჩემი საუბარი ბერიას “ატომურ” ცხოვრებაზე ჯერ კიდევ არ დამითავრებულია.

### თავი 22

#### ლაზრენტი ლაზრენტიანისათვის

1946 წლის 11 მარტს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის №2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ.ვ. სკობელცინმა წერილით მიმართა “ღრმად პატივცემულ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას” თხოვნით, “გაეცა განკარგულება, რათა მოეხდინათ საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი იმ ფიზიკოსების დემობილიზაცია, რომელთაც სხვადასხვა დროს წარმატებით ჰქონდათ დამთავრებული მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და დაბრუნებინათ ისინი უნივერსიტეტში”.

სკობელცინის აღნიშნულ წერილს თან ერთვოდა ამ ფიზიკოსების საკმაოდ ვრცელი სია.

მოტივაცია იყო შემდეგი: “თუ აღნიშნული ღონისძიება არ ან ვერ განხორციელდება, მაშინ ჩაგვივარდება უნივერსიტეტის მიერ 1946 წელს ბირთვულ საქონებზე მომუშავე ფიზიკოსების გამოშვება”.

სკობელცინის მიერ გამოცხადებული განგაში სასუსებით გასაგებია და იგი გასაგები იყო ბერიასათვისაც, რომელმაც 12 მარტს წერილი გადაუგზავნა სსრკ მთავრობის მინისტრს ბულგანინს, მან კი პასუხი 18 მარტს დაუბრუნა: “ამხანაგ ბერიას.

თქვენი დაგვლების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა არმიის რიგებიდან ფიზიკოსთა დემობილიზაციას საბჭოთა ატომური პროექტისათვის მათ მოსამზადებლად, ჩემს მიერ გაცემული შესაბამისი განკარგულება”.

განკარგულება მიეცა საბჭოთა არმიის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსს ფ.ი. გოლიკოვს, რომელიც მან შეასრულა, მაგრამ 1946 წლის 18 აპრილს წერილით მიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. გ.პ. მალენკოვს, რომელსაც თან ერთვოდა მოხსენებითი ბარათი:

### “მოგახსენებთ;

ვითვალისწინებთ რა საბჭოთა მეატომების მოთხოვნილებას კვალიფიციურ კადრებზე, საბჭოთა არმიის კადრების მთავარი სამმართველო დემობილიზაციით აგზავნის მათთან არმიის რიგებში მომსახურე სპეციალისტებს და უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს.

მაგრამ აქვე მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება იმას, რომ საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი სტუდენტი-ფიზიკოსების შერჩევა ხდება ხაზგასმით ცალმხრივად.

მაგალითად, ამა წლის 13 აპრილს, ოცკაციანი სიიდან პროფესორმა დ.ვ. სკობელცინმა დემობილიზაციისათვის შეარჩია 16 ებრაული ეროვნების პიროვნება.

უფრო ადრე – 11 მარტს, პროფესორმა სკობელცინმა, იმავე, ნაციონალური პრინციპით, ათკაციანი სიიდან შეარჩია მხოლოდ 5 კაცი”.

20 აპრილს მალენკოვმა ეს მოხსენებითი ბარათი ბერიას გადაუგზავნა, და იმავე დღეს, უკვე მახნოვმა, ბერიას გადასცა შემდეგი შინაარსის ცნობა:

“გადამოწმებით დადგინდა, რომ ამხანაგი სკობელცინი სიების შედგენის დროს ხელმძღვანელობდა ნაცნობი პედაგოგების, ფიზიკოსებისა და სტუდენტების რეკომენდაციებით, რადგან უნივერსიტეტში არ მთიპოვებოდა შესაბამისი ცნობები ჯარში გაწვეულ ფიზიკოსებზე”.

მახნოვის ოპრავებითობით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ ბერია ამ საკითხით საკმაოდ მეტად დაინტერესდა, მაგრამ თუ რა მოხდა შემდეგ, ამაზე დოკუმენტები სდუმან. თუმცა, აღნიშნული “ინფორმაცია განსჯისათვის” მაძლევს იმის საშუალებას, რომ შემდეგი საკითხები წარმოვიდგინოთ.

ჩვენს მეთხველს შეუძლია ამგვარ ინფორმაციებს გაეცნოს “საბჭოთა ატომური ენერჯის” №6,7 და 8 ბიულეტენებში, მაგრამ საეჭვოა, რომ სსრკ “ატომინფორმის” ეს ცნობარი, რუსეთის ბევრ საჯარო ბიბლიოთეკაში მოიძიოთ.

თავივე გაფრთხილებთ, რომ ის, რასაც მე მესამე პირში ვწერ, პირველ პირში აქვს გადმოცემული აღნიშნულ “ბიულეტენში”, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში, ფიზიკომათემატიკის დოქტორს ოლეგ ალექსანდრეს ძე ლავრენტიევს, რომელიც ბერიასთან ბედმა დააკავშირა. ამიტომ, არ შემიძლია მასზე არ მოვითხოროთ.

ამ ამბებიდან 50 წლის შემდეგ ოლეგ ალექსანდრეს ძე ხარკოვში ცხოვრობს და მუშაობდა ცნობილ უკრაინის ფიზიკოტექნიკურ ინსტიტუტში. მე მას დაუკავშირდი და როცა წარვუდგე, ჩვენს შორის ასეთი სატელეფონო საუბარი გაიმართა...

– ოლეგ ალექსანდრეს ძე, თქვენ შეხვედრისხართ ლავრენტი ბერიას?

– დიახ, მას მე და სახაროვი შევხვდით.

– როდის მოხდა ეს?

– 1951 წელს...

– როგორ შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– კარგი შთაბეჭდილება, იგი შესანიშნავი ორგანიზატორი იყო...

– ეს ვიცო, მე იგი მაინტერესებს როგორც ადამიანი... რა შეგიძლიათ თქვით ამის თაობაზე? როგორი შთაბეჭდილება დასტოვა?

– კარგი შთაბეჭდილება... ადგა და შუა კაბინეტში შემოგვეგება, მოგვესალმა და დასხდომა შემოგვთავაზა...

ლავრენტიევი მოგუდული ბასით მესაუბრება, დინჯად, საქმიანად... პაუზა გააკეთა და განაგრძო:

– მისმა პირველივე შეკითხვამ გამოგნა... მან მკითხა: “თქვენ რა, კბილი გტკივათ?”


მე გამიკვირდა – რატომ? არაფერი არ მტკივა! იგი კი მეკითხება: “მაშ ლოყა რატომ გაქვს შესიებული?” ვპასუხობ: “მე ასეთი ლოყები მაქვს”, და ყველანი ვიცინით...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





ზურაბ კვარაცხელიას ხალხოსნური პანიფილია: ღრო არ ითმენს, თუ სააკაშვილი არ გაუშვით, დაიწვით!



სამეგრელოში სრული პოლიტიკური სტაგნაცია, ასპარეზზე არ ჩანან არც ოპოზიციონერები და არც მმართველი პარტიის წარმომადგენლები. «ნაციონალისტებს» და მის ძალოვან სტრუქტურებს ისე ჰყავთ დათრგუნული და დაშინებული მოსახლეობა, რომ ხმის აძლევს ვერაინ ბედავს. მიუხედავად ამისა, სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» აქტიურად ცდილობს მიძინებული და დაშინებული ხალხის გამოფხიზლებას, გამხსნევასა და რეგიონში არსებული პოლიტიკური და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევას. სამეგრელოს რეგიონში არსებულ ვითარებაზე, სახალხო მოძრაობის მიზნებსა და გეგმებზე გახსოვდეთ «იღორს» თავის მოსახრებავს უზიარებს სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ კვარაცხელია.

რეგრესიების, წნეხის ქვეშ ჰყავს არამარტო სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობა, თუმცა სადღა სრულიად საქართველო... დამნაშავე ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა, რათა ჩვენი სამშობლოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულიყო და, სანამ ეს ხროვა არ გადაშენდება, სანამ ხელისუფლებაში ეროვნულ-პატრიოტული, მართლმადიდებლურ-ტრადიციული ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა არ მოვა, არაფერი გვეშველება.

– ბატონო ზურაბ, თქვენ ასევე შეიძლება მოუცავს მოსახლეობა. როგორ გინდათ, ჩააბათ ეს დაშინებული მიძინებული ხალხი ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობაში?

– ვფიქრობ, ცოტა ზედმეტად ვართ შიშით შეპყრობილნი და ეს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. ზოგჯერ ადამიანები როცა მელაპარაკებიან ამ შიშზე, უხერხულობისგან თვითონვე ვწოლდები. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ვარ «უშიშო, ვითარცა უხორცო». არა, ბატონო. როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც მაქვს შიშის განცდა, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი და ამ ზღვარს იქით შიში უკვე ნამდვილად სამარცხვინო ხდება და თანაც როგორც, ეს ჩვენ კარგად დავინახეთ 2008 წლის აგვისტოში გორში ვაიპრეზიდენტის, ვაიმთავარსარდლის მაგალითზე. ამიტომ მინდა მივმართო ჩემს თანამემამულეებს, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონის ადგილობრივ თუ დევნილ მოსახლეობას: დრო არ ითმენს, ეს ხელისუფლება დამოკლეს მახვილით კიდაი ჩვენს თავზე და, თუ დროულად არ მივიღეთ ადეკვატური ზომები, სააკაშვილი დროზე თუ არ გაეუშვით, ჩვენი საქმე წასულია, ჩვენ დავიღუპებით. ასე რომ, გაიხსენეთ ისტორია, თქვენ კაცობრიობის უძველესი ცივი-

ლიზაციის სათავეებთან მდგარი ამაყი კოლხებისა და იბერების შთამომავლები ხართ. თქვენც იმავე წიაღიდან იშვით, სიდანაც აივით, მითრიდატე, ქუჯი, გუბაზი, ფარტაზი, იოანე ღაზი, მინხი, გიორგი ჭყონდიდელი, ცოტნე დადიანი, ლევან II დადიანი, უტუ მიქაეა, მართალია თოდუა, ამბროსი ხელაია, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა ვეკუა, ყოფილი შარტავა და ასევე ლავრენტი ბერია; და ამ ჰალსტუხიკამია პრეზიდენტმა, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე უხსენებელივით მიწაზე მფორთხავმა, მხდალმა კაცმა როგორ შეგაშინათ?!

– ბატონო ზურაბ, ამ ჩამონათვალში ლავრენტი ბერია რა შუაშია?

– ბერია ამ ჩამონათვალში, სხვას რომ თავი დავანებოთ, თუნდაც თბილისში განხორციელებული დემოგრაფიული პოლიტიკის გამო უნდა იყოს. მან სომხებს სოვდა-კრებსა და ნასომხარ რენეგატებს წააგლიჯა თბილისი, დრეკანდელი ხელისუფლება კი, ბერიასგან განსხვავებით, მიზანმიმართულად ამხადებს საფუძველს, რათა ჩვენი დედაქალაქი პერსპექტივაში ერთ-ერთი მეზობელი ერის კუთვნილება გახდეს. მე მინდა, ჩემო თანამემამულენო, კარგად გააცნობიეროთ ყოველივე, კარგად დავინახეთ კომმარული რეალობა და მივხვდეთ, რომ პიარაქციებით ქვეყანა არ აშენდება, რომ ბლუფია და აფორა ეს ე.წ. აღმშენებლობა. წარმოიდგინეთ, რამდენ ფულს ხარჯავს ეს ვაიხელისუფლება ამ პიარ აქციებზე და მოუტაკიო მასხარაობაზე, მაშინ, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი შიმშილობს. აბა, წარმოიდგინეთ მარტო ანაკლიის პიარ აქციებსა და ბილწი ხელისუფლების შლეგურ დროსტარებაზე რამდენი თანხაა განიარსებული, მაშინ, როდესაც დევნილების მნიშვნელოვანი ნაწილი ქუჩებშია გამოყრილი. აი, ამაზე

განსაკუთრებით თქვენ უნდა დაფიქრდეთ, ჩემო გაუბედურებულ დევნილებო, და უნდა გაგიწოდოთ სამართლიანი პროტესტის განცდა.

– როგორია თქვენი მოძრაობის გეგმები და გზები?

– ვფიქრობ, რომ კვლავ გავაგრძელებთ ჩვეულ ხალხოსნურ საქმიანობას, გავაგრძელებთ მოსახლეობის ინფორმირებას რეალური მდგომარეობის თაობაზე და კვლავ შევეცდებით მათი საზოგადოებრივი აქტივობის ხარისხის ამაღლებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას აქტიურ პრობაგანდას გაეუწვეთ მთელი რეგიონის მასშტაბით.

დრო მართლა არ ითმენს, ამიტომ უნდა შევდგეთ დიდი თავყრილობის მოწყობა. ამ თავყრილობაზე გადგურდება ის პროგრამა, რომლის რეალიზების შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ ერის განადგურებისა და ქვეყნის ნგრევის შეჩერებას, საფუძველი ჩაეყრება პერსპექტივაში ერის აღორძინებისა და ტერიტორიული გამთლიანების პროცესს.

– ბატონო ზურაბ, სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» წარმომადგენლებს, თქვენს ოფისში მოსულ პირთაგანს, თქვენს სიყვარულს გარდა, მოძრაობის ლიდერის – ალექსანდრე ჭაჭიასადმი უდიდესი რწმენა და პატივისცემა აერთიანებთ. ბევრი მათგანი ბატონ ალექსანდრეს პირადად იცნობს, ბევრი კიდევ გაცნობის მოლოდინშია. ხომ არ იგეგმება ბატონი ალექსანდრეს შეხვედრა მოსახლეობასთან?

– ვფიქრობ, ამ კითხვას თვითონ ბატონმა ალექსანდრემ უნდა გასცეს პასუხი, მაგრამ, რადგან მეკითხებით, ასე გიპასუხებთ, ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე: როგორც ნებისმიერ დიდ საქმეს, ასევე დიდ ეროვნულ-სახალხო მოძრაობასაც სჭირდება დიდი გონებრივი შესაძლებლობისა და მასშტაბური აზროვნების

უნარის მქონე თავკაცი. დრმად ვარ დარწმუნებული, რომ, საბედნიეროდ, ასეთი პიროვნება ჰყავს არამარტო ჩვენს კუთხეს, არამედ სრულიად საქართველოს. დიახ, ეს პიროვნება გახლავთ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და ახლაც გავიმორებ ჩემ მიერ მრავალჯერ ნათქვამს: ქართველი ერი დაუშვებს დანაშაულის ტოლფას შეცდომას, თუ მას არ მისცემს ბევრად იმაზე მეტის გაკეთების შესაძლებლობას, ვიდრე დღემდე აკეთებდა. ალექსანდრე ჭაჭია აფხაზეთშია დაბადებული და გაზრდილი, მისი ცხოვრების მთავარი მიზანიც ამ დაკარგული კუთხის ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაციაა. რაც შეეხება მის შეხვედრას მის მხარდამჭერებთან, ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული მისივე მხარდამჭერების არამარტო სურვილზე, არამედ აქტიურობაზეც.

– აპირებთ თუ არა თანამშრომლობას ოპოზიციურ პარტიებთან?

– რა თქმა უნდა. ჩვენ სხვა პლანეტაზე არ ვცხოვრობთ, უფრო მეტიც: ერთი ქვეყნის შვილები ვართ და, ბუნებრივია, თუ იქნება სტრატეგიული მიზნების თანხვედრა, ერთიანი პლატფორმა, მაშინ თანამშრომლობა საჭიროცაა და აუცილებელიც, მიუხედავად იმისა, თუ ვის რა პოზიცია ეკავა გუშინ. თუმცა მოდით ვიყოთ გულწრფელნი – წარსულიც გასათვალისწინებელია. ერთი რამ დარწმუნებით ახლავე შემიძლია ვთხრობ – ნაწოში და რაღაც ამგვარ სტრიქტურებში გაწვევრება ვისაც იდეაფიქსად გაუხდია და კიდევ ვინც პრეზიდენტობისა და სკამის მაძიებელი პოლიტიკანია, მათთან საერთო ენას ნამდვილად ვერ გამოვნახავთ.

ლალო ძირია, ზუგდიდი

რედაქსიონაში ნერილი მოვიდა

ამას წინათ წერილი მივიღეთ, რომელიც გახსოვდა «იღორს» რედაქციას გამოუგზავნა თანამშრომლის მეგობრმა, აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა ლამარა ბელმანამ.

«მე თანამშრომელი ვარ და დიდი ინტერესით ვეცნობი თქვენს გახსენებულ გამოქვეყნებულ წერილებს, განსაკუთრებით კოლხეთის ისტორიაზე, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში ბევრს არ სურს ადიაროს, რომ კოლხეთის სამეფო ქართლის სამეფოს დაარსებამდე 9 საუკუნით ადრე არსებობდა და სწორედ კოლხეთმა მისცა ბიბიო მსოფლიო ცივილიზაციას. ისიც ფაქტია, რომ ერთიანი საქართველოს სახელმწიფოც კოლხეთის ინიციატივითა და მისი მეფის ქუჯის გამაერთიანებელი მიზანწარაფვით შეიქმნა. ამის შემდეგ, დღემდე სწორედ სამეგრელო წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხერხემალს, და მოსწონთ თუ არა ეს მავანთ, მაინც იძულებული არიან თვადი გაუსწორონ რეალობას! ამიტომაც არის, რომ საქართველოს მტრები, ჩვენი სამშობლოს ხერხემალში გადატყვევების უპირველეს იარაღად საქართველოსაგან სამეგრელოს ჩამოშორებას მიიჩნევენ.

ვერ მოესწრებინა! რაც შეეხება თქვენს გახსენებულ გამოქვეყნებულ წერილს ბაღაფშის თაობაზე, მე, როგორც აფხაზეთის მეგობარს და იქ არსებული სიტუაციის საკუთარ თავზე ნაწევრს, მიმანია, რომ ბაღაფში დიდი როლი ითამაშა აფხაზი და ქართველი ხალხის შემდგომი გათიშვის საქმეში. მას არც თანამშრომლის სადგური აუშენებია – იგი გერმანელმა ტყვეებმა ააშენეს, მეფრინველები ფაბრიკა კი საქართველოს მთავრობამ ააშენა. ასე რომ, ბაღაფშიან საერთო ენის გამოძებნა ჭაჭიასაც კი გაუჭირდებოდა, რომლის ოჯახსაც მივიღე აფხაზეთი და სამეგრელო იცნობდა და პატივს სცემდა. მისი მამა – ხუტა ჭაჭია, ქალაქის კოლორიტი იყო და მისმა გარდაცვალებამ ერთნაირად დაწყვიტა გული ქართველებსაც და აფხაზებსაც. გვიხარია, რომ მას ასეთი საამაყო შვილი დარჩა...»

ქალბატონო ლამარა!

უპირველესად, დიდ მადლობას მოგახსენებთ გახსენებულ აქტიური თანამშრომლობისთვის, რომელიც, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება. მაგრამ, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ თქვენს წერილთან დაკავშირებით, გონივრული ზოგიერთი საკითხი:

კერძოდ, საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი (აღბათ, უფრო – უარყოფითი, ვიდრე დადებითი) ნიშანთვისება გახლავთ ის, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის დამოკიდებულება მეორე სახელმწიფოს მეთაურისადმი სრულიად არ ასახავს ამ სახელმწიფოს ხალხების შორის დამოკიდებულების რეალურ სურათს. აფხაზი და ქართველი ხალხების გათიშვის პოლიტიკა, რომელსაც თქვენ ასეთი გულისტკივილით აკრიტიკებთ, შეიძლება მოდოს კიდევ სეპარატისტებისაგან, მაგრამ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის შესანარჩუნებლად, საომარ სიბრტყეში იგი გადაიყვანა ედუარდ შევარდნაძემ, რომლის ბანდოვანი რეპრეზენტაცია აფხაზეთში და სათავად დაუდგეს მმართველ ომს. მაგრამ მანამდე იყო სამეგრელოს 6-გზის აწიოკება, რადგან ჩვენმა მტრებმა კარგად იცოდნენ, რომ სამეგრელოს დამოკიდების გარეშე აფხაზეთს საქართველოსაგან ვერ მოწყვეტდნენ. აფხაზეთის მიმართ შევარდნაძის დამოკიდებულება მისი პოლიტიკური შვილობილი მიხილ სააკაშვილი, რომელიც ყველაფერს აკეთებს საქართველოსაგან აფხაზეთისა და სამანაბლოს საბოლოოდ მოსაკეცად.

რაც შეეხება ქართველი და აფხაზი ხალხის შემდგომი გაუცხოების ტენდენციებს, აქ უკვე დიდი როლი ითამაშეს სააკაშვილმა და მისმა პოლიტიკურმა ბანდამ, რომლებმაც კატეგორიულად აღ-

მოფხერეს ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის პოლიტიკური დიდი დიდი ყოველგვარი შესაძლებლობა, 2008 წლის აგვისტოს პროლოკაციული ომის შემდეგ კი იურიდიულად გააფორმეს საქართველოდან აფხაზეთისა და სამანაბლოს მოწყვეტა. განასწორედ სააკაშვილმა არ გააგლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მდინარე ენგურზე, როცა მაღალი ტრიბუნლიდან აღნიშნა, რომ «იქით სიბნელეა და მონღოლოიდური ძალები ზოგინებენ, აქეთ კი სინათლე და დემოკრატიაა!».

ამის შემდეგ, იოლი არ არის იმის განჭვრეტა, თუ ვინ უფრო ეწინააღმდეგება ქართველი და აფხაზი ხალხის გაერთიანებას – აფხაზები და რუსები, თუ საქართველოს სომხური ხელისუფლება და მისი თავკაცი, ეროვნებითა და სულისკვეთებით საქართველოს დიდი მტერი სომეხი სააკაშვილი!

რაც შეეხება სულგანათლებული ბაღაფშის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ქართველები მხოლოდ გალის რაიონში იცხოვრებენო, ეს იქნებოდა აფხაზეთში ქართველი დტოლვილების მასიურად დაბრუნების პირველი ეტაპი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვებოდა შემდგომი ეტაპები, რადგან მმართველი ომის შემდეგ საჭიროა გარკვეული პერიოდი, რათა ხალხს თანდათან დაუამდეს ამ პროვოკაციული ომით მიყენებული ჭრილობები და ფსიქოლოგიური ტრავმა. სწორედ სერგო ბაღაფშის ამ განცხადებამ შეაფოთა საქართველოს სომხური ხელისუფლება, რომელიც საერთაშორისო კუმინტარული ორგანიზაციების მიერ დეკლარადა დასახმარებლად გამოყოფილ შემწეობებზე საკამოდ კარგად ითბობს ხელს, ხოლო დევნილთა ადრინდელ საცხოვრებლებზე დაბინავების შემთხვევაში

მათ ეს საკამოდ სოლიდური ფინანსური დახმარებები შეუწყდებათ.

ვიდრე ქართველი და აფხაზი ხალხები ადლოს არ აუღებენ საქართველოს სომხური ხელისუფლების ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს, მანამდე არ მოხერხდება ქართველი და აფხაზი ხალხის დაახლოება. დრო კი აშკარად არ მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ, რადგან მოდის ახალი თაობა, რომელიც კატეგორიულად იქნება ერთმანეთისაგან გაუცხოებული. მათ არასოდეს მოეწონებათ ერთად ყოფნა, რაც საბოლოოდ დაარღვევს აფხაზი და ქართველი ხალხის ისტორიულ ერთიანობას.

აი, რა უნდა გახდეს თითოეული ჩვენთაგანის უპირველესი საზრუნავი!

ასევე ვერ გავიზიარებთ თქვენს განცხადებას იმის თაობაზე, რომ ბაღაფშს მონაწილეობა არ მიუღია თანამშრომლის სადგურისა (საუბარია სადგურის ახალ შენობაზე) და მეფრინველების ფაბრიკის აშენებაში. ჩვენი თაობის ადამიანებმა კარგად იციან, თუ როგორ ირჯებოდნენ მონდომებული რაიონის პირველი მდივნები, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას მათ რაიონში რაიმე ახალი ობიექტის მშენებლობა დაეფინანსებინათ. ასევე, დიდ მადლობას მოგახსენებთ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ესოდენ თბილად მოხსენიებისთვის და საცხებით ვიზიარებთ თქვენს მოსახრებას იმის თაობაზე, რომ სწორედ ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ დღეს ის ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომელსაც უმოკლეს ვადებში ხელეწიფება ურთიერთობების დარეგულირება როგორც რუსებთან, ასევე აფხაზებთან და ოსებთან.

პატივისცემით, გახეთი «იღორი»

# პასილ მჟავანაკე უსაფათო

საქართველოს საბჭოური პერიოდის ლიდერი და თანაც ყველაზე კეთილშობილი ლიდერი ვასილ პავლეს ძე მჟავანაკე სოფელ უსაფათის ხშირი სტუმარი იყო. მის ერთ-ერთ სტუმრობას ასე იხსენებდა მამაჩემი – ამირან ანტონის ძე ხუბუა, რომელიც იმ პერიოდში ცხაკაიას (სენაკის) ავტოსაწარმოში მუშაობდა:

– შორიდანვე შევაჩინე, რომ მჟავანაკის პერსონალური მანქანა “ჩაიკა” მოემართებოდა ჩემსკენ. ჩემი სატვირთო მანქანა გზიდან გადავაყენე, გავანერე და კაბინიდან გადმოვედი. “გრუზავეითან” დავედი და დავიცადე, ვიდრე ცეკას პირველი მდივნის “ჩაიკა” ჩაივლიდა. როცა გაკრიკულდებოდა შავი ფერის მანქანამ ჩამიარა, ქუდი მოვიხადე და მისალმების ნიშნად ხელი მოკრძალებულად ავწიე. როდენ დიდი იყო ჩემი გოცეკა, რომ “ჩაიკა” შორიდან წერდა, შემდეგ კი უკუსვლით გამოიხადებდა. მანქანიდან სახე მომდინარე ვასილ მჟავანაკემ ხელით მანიშნა, რომ მასთან ახლოს მივსულიყავი.

– მოდი ჩემთან, ყმაწვილო! – მითხრა ქართულად.

მე კი გავიღონე მისი სიტყვები, მაგრამ მორიდებისაგან თითქოს ფეხები დამებორკა – ახლოს მისვლა ვერ გაუბედე. მაშინ “ჩაიკის” უკანა კარი გაიხსნა და მკვირცხლად გადმოვიდა მანქანიდან ახალგაზრდა კაცი, ალბათ მისი დაცვის წევრი, რომელმაც მითხრა:

– წამობრძანდით, ვასილ პავლეს ძე გთხოვთ, რომ მასთან მიხვიდეთ!

ახლოს მივედი. ვასილ პავლეს ძე მჟავანაკემ ჩემელი გულისხმიერებით გამომიტახა თუ რა მქვია, რა ვაბრძანებ ვარ, სად ვმუშაობ, ოჯახი მყავს თუ არა და, საერთოდ, როგორ ვცხოვრობ.

– კარგად-მეთქი, – უპასუხე. – რამე ხომ არ გინდა, მთხოვე და ყველაფერს გააკეთებ! – დიმილთ მითხრა ბატონმა ვასილმა.

– თქვენი კარგად ყოფნა მინდა, ვასილ პავლივიჩ! – დიმილთვე შევაგებე მე. – სხვა რამის სურვილი არ გამაჩნია.

– **Смотри, Смотри,** – დაიწყო მჟავანაკემ რუსულად და მერე კვლავ ქართულზე გადავიდა, – რა ზრდილობიანი ყმაწვილია, ჯერ არ შემხვედრია მსგავსი რამ, ჩვენს რაიკომის მდივნებს რომ ვკითხო, რა გინდათ-მეთქი, წამსვე უსაშველოდ გრძელ სიებს ჩამომიწერენ. შემდეგ კვლავ მკითხა: – ნუთუ მართლა არაფერის თხოვნა არ გსურთ, თუ გერიდებათ. რითი დაგეხმაროთ, მთხოვეთო.

მამაჩემს უპასუხნია: – თქვენ მთელი საქართველო გაბარიათ, მთელ საქართველოს ესმარებით, ვასილ პავლივიჩ, და ჩვენთვის ესეც საკმარისია. მე მხოლოდ ჩემი ოჯახი და საკუთარი თავი მადრძინ და ამას როგორ ვერ მოვივლიო.

გადმოსულა მანქანიდან მჟავანაკე, მამა მკერდზე მიუკრავს, გადაუკონია და თავისი რეფერენტისთვის უთქვამს, ამ ახალგაზრდა კაცის ვინაობა ჩაიწერე და რაიკომის პირველ მდივანს ნოე შონიას გადაეცევი ჩემი სახელით, მაღლობა გამოუცხადოს ამ ბიჭს და იმ საწარმოს, სადაც იგი მუშაობს და საერთოდ, მას ყურადღება

არ მოაკლოსო.

მართლაც, მეორე დღეს ავტოსაწარმოში, რაიკომის ბიუროს წევრებთან ერთად, მისულა ცხაკაიას პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, ლეგენდარული პიროვნება, უმწიკვლო პარტიული მუშაკი და შრომის-მოყვარე მეცნიერი ნოე შონია (რომელიც ყოველი წესიერი ადამიანის მოქულე ელუარდ შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანად მოსვლისთანავე აბსურდული ბრალდებით მოხსნა თანამდებობიდან, ხოლო ასევე შეითხინილი ბრალდებით ექვსი წლით ციხეში გაისტუმრა – გაზ. “ილორი”), ყველაფერი მოუყვლია ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლებს ნათვის და მამაჩემს თურმე მადლობა გადაუხადა გამომჩინილი ზრდილობისა და გულისხმიერებისათვის. ნოე შონიამაც იგივე გაუმეორა თურმე მამას – ვასილ მჟავანაკესთან შეხვედრისას, შენ, მთელი სენაკის რაიონიც და მეც მასახელე და როდისმე რამე თუ დაგტვირდევს, არ მოგერიდოს, მთხოვეო. მამას მაშინაც და შემდეგაც უამრავი განაცხადი არ ასვენებდა, მაგრამ არასოდეს შეუწყებია არც სულგანათლებული ნოე შონია და არც რაიონის თუ საქართველოს სხვა ჩინოვნიკები.

ეს ამბავი დიდი ხნის შემდეგ შევახსენე ბატონ ნოეს, თბილისში შეხვედრისას, და, ჩემდა გასაცრად, მან მსწრაფლ აღიდგინა მესხიერებაში მამაჩემთან დაკავშირებული ისტორია. მეც მადლობა მომიხადა – კარგი მამის შვილი ხარ, მისით იამაყე, მაგრამ ეცადე, რომ ყოველმხრივ მამას დაემსგავსო.

მართლაც საოცრად უბრეტნოად ადამიანი იყო მამაჩემი. ხშირად მიმეორებდა – სიღარიბემ არ შეგაშინოს და სახე არ დაგაკარგინოს, სიმდიდრემ კი, არ გაგაგვიოს და ადამიანის სახე არ დაგაკარგინოს, ყველას იხე მოეპყარი, როგორ მოპყრობასაც სხვებისგან ისურვებო. ადამიანი კი არა, უცხო, ძალიან რომ შემოვიდეს შენს ეზოში, უნდა გაგებარდეს და იმასაც კი პატივი უნდა სცე, თუ კაცი ხარო.

უსტუმროდ თითქმის არასდროს ვისხვედიო სასადილო მაგიდასთან, არასოდეს წავიხეემსება უსტუმროდ.

ამით მიცვალდებულს მიუღის თავისი “თია”-ო, იტყვია. რელიგიურ დღესასწაულს ან დღეობას არ გააგვიდნდა, საფლაგზე რომ არ გასულიყო, საფლაგზე ჯვარისებრ მიმოასხამდა ღვინოს, სახმელე ჯერ მიცვალდებულს უნდა შესთავაზო. მისი თამალობისას პირველი სადღერბელო მუდამ “ვარენ-თინეფში” (მიწისქვეშა საქართველოსი) იყო. თავადაც, უკვე 15 წელიწადია “ვარენ-თინეფში” გადაინაცვლა – ხეცად ამადლდა. მასზე უზომოდ მგლოვიარე დედაც 7 წლის შემდეგ შეუერთდა.

ნათელში იყოს მათი სულეები!

**მეირაბ ხუბუა,**  
სენაკი, უსაფათი

# ალიო ქობალია

დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლექობალეში.

დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1952–1992 წ.წ. ცხოვრობდა და მუშაობდა აფხაზეთში, იყო ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, არის ავტორი სოხუმში გამომცემელი პოეტური კრებულებისა; „თეორი ბილიკი“, „ნისლი ჭალაში“, „ველის ყვავილი“, „წინარი თოვლი“, „ნადლეიანი დღე“, „შენი სახელი“, „ცისფერი კვამლი“ და სხვ. შარშან გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“, რომელშიც შევიდა 97 ათასი ლექსიკური ერთეული და სიტყვა-სტატია. გამოსაცემად მზად არის და სპონსორს ელოდება მისი ტოპონიმური, ონომასტიკური, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, ეთნოგრაფიული ნაშრომები, ისტორიოგრაფიული, მითოლოგიური, კოსმოგონიური ძიებანი. 2006 წელს გარდაიცვალა ზუგდიდში, დევნილობაში. დაკრძალულია მანცხევარკარის სასაფლაოზე.

**რჩეული მემორული ლექსები**  
ორთაშ ლზაა  
ნარდში ზღვასუ ქიგიოლუ,  
შურიაკინკარილი,  
ქუნტუანსუ გიმე როხუ,  
თოკიშ აკოჯვარილი.

წყარპის რინა ქეკასიდეუ,  
ტვერქუმოლ ფანილი,  
წყითემ მოსა ქუგაკირუ,  
ხვიარიაშ ბანდილი.

მაფაჩხომი გეიაზადუ,  
ერქემსუა ფანილი,  
შიშ დო ორო ქუგადირთუ,  
ქვერსემიას ფალირი.  
ხოლო ცაშა უჯგუ ულა,  
შარა გობუ სარკილი,  
მიანტებუ ორთაშ ლუბას,  
ჩხურუმ ეყოთამილი

**მისი ჰვიმბა**

ჭვენს, ჭვენს, ჩხაბალანს,  
დოლო-მოლსუ ვარკალანს,  
თომაჭოთა ალდაჩხირი  
ჯიკუტისა გალაყაფ,  
წარდუზილი ბადილია  
ყვბურს მიშაღაჭალანს.  
შარა-ჭარა-ბორზიფი  
სერიშ კარსუ გემნოწჯა,  
ქველოჯინექ ცაშ კარეს,  
მურიცხევიშ ჭვემა ცენსუ,  
მეგარქილექ ხონარემს:  
მუაჩქიმი გაფურცქინანს  
თეა სოჯიშ ქასანთელს,  
დაჩქიმი გიობირანს  
პატონემსუ ფანდურელს.  
ია-იაშ წყარი წენსუ,  
ჭურჭულანსუ ოდაშ რჩელს,  
გუნაგხანტა პეულანსუ  
მუმულიაშ ბირბილემს.  
სასინთოშე მუთოფუნსუ  
ჩელაია თუთაშ თე,  
ყვას ფურცელო გემოფინუ  
ნანაიაშ რგილი ხე,  
სინჩე უთაკარუანსუ

# ალექსანდრე ლაზი

დროა სამყარომ ბაიბოუს სიკვდილსაც დაეგვიდებოთ, ვერაგსა წუთისოფლისა, წინ გველის კიდევ ბრძოლები სისხლით ზღვევის და ომისა.

ავიერთდი! ჩემო მამულო, ერო უშიშარ გულისა, დროა სამყარომ გაიგოს, როგორი ყვევართ სულისა.

გულანთებულნი ქართველნი არ მოკვლვებია მხარესა, ვინცა გემტრობს, იმათ იკითხონ, მალე დაყველენ თვალვებსა.

მოშიშნი დეთისა აკურთხა უფლის განგება ზენამა, ვედარ დათრგუნა ქართველნი ურჯულთ სისხლის დენამა.

თითქოს მივინაბდით, მივენდეთ, თმენის გაგვიწყდა ღილია, საჭესპურობელებად უფალმა გვიმოციქულა „ილია“.

შენგან კურთხევას მოელის შეილინი იბერთა მოდგმისა, ერთ მუშტად შეეკრა სწადიათ უფლის მერედ მოსვლისას.

შენი ნათელური მოდიან, ვით ანგელოზნი ცისანი, ვერაგინ შეეკრება, მოდგმა აქეთ ქართლოსისანი.

შენ იდღევრდე მამალო, მწყემსო ქართველთა მოყმისაგ, შენით ხარობენ ხეცაში სულნი წინაპართ მოდგმისა.

ბადანობაშ სიზმარემს, ცხვირსუ გილაწირწინუნა უჩა ორო-მესერეფ.  
დუსუ ქიმთბიტყობინუა შქართუნს, სქეკამას გურისტელს,  
გურშა ქიმბისუტოლუა ჭითა-ჭოთა ჩაფულემს.  
...ირფელ ართო დაფთხიებუ, ელვოჯინექ ცაშ კარეს,  
მირე გიშმოწურუნსუ შარა - ჭარა ბორზიფმს

**ნაწკელი**  
მეღეფიში მარუასუ, მოსოფელიშ ზღვირუას,  
არხენაში ზარზალსუ დო კურუმ კაპუშ ზარუას,  
გარულ თოლიში გორზამას დო გეგარგენაჟუა – ქარუას,  
ნაჯვარდელსუ დუნაწიმა ზისხირიში ყალუას.  
ქელ დო ძვალში ჟვარუასუ, გურ-გიშ ყვილიშ ტკვარუას,  
თუთა ფორცხორდელვავილიშ კუმა-რუმეს ნკარუას,  
დიხა გოდარდალაფორიშ ეშა-გიმე ყარუას,  
ქვერსემიას ნაფულეში ელე ეშაყარუას,  
ერთელ წყარი ზვირთილიში ცასუ მიკოხარცქუას,  
არქანეფი გუნაჭაში ხირატუა-ლართუას,  
გოჯარელი ჭკანდერეფიშ უკმო-კვარჩხო ქართუას,  
მურიცხონიშ სარსილოშე გინო-ცაშ-ეკვარჩხუას,  
ცაშ დაკეფიში რულაიას, ყურუა დო ლალუას,  
ვითააშვი მასქურში დო მუში დიაშ ნჭალუას,  
მართუში წყარ დო მარუალიშ დაჩხირს მიშარგალუას,  
დალურიში კველა-დინცხო კარულიშ გალუას,  
ზღვაშე წყარ დო ცაშე ტვერიშ უჩათ აკოწყათუას,  
რინა-ღურუმ მერთელეფიში ჩილა-

მურით წყარუას, ...ქიგავუნუქ ქირსემ ლებირ კუნხეფიში ნაულას,  
კირდე-ჩქონშა გეკვანთხუქუ, შურს გინვოტე წაულას.

**ონწარამ**  
ბარას გარე წკონდა ღალი მაფელ ონწარე.  
ოხეშ სანძლო ბადანობაში მაფე მოწამე.  
ხვარჩალია წყარიშ ხესქვიშ მორჩე ნოხორი,  
ქვარჩალია ლეფონევიშ რუმე ოხოლო.  
წყარ-პატონი მიშატყობუ გორდა ქალამი...  
ამარ, გოთეს დუგავორე ტვაში წამალი.  
სია-სია იფანალ დოლო – ისირი,  
ქოლოწყუსუ ინივალ ზუალა სილირი.  
...ნანა მიჭანს, ხილი რე, ორო მუშაში...  
წყარი მოჩქუ, ქიგნოდვალ ფერი კუმაში.

**სძიბუ**  
ჩქიმ ჭოდაშე ხუმინუნქ, მოცაცვილი სქიბუ,  
ხოჯიცალო ზუმინუნქ, მუნაწისუ ქუნსუ.  
საიმენდო ლეონთის სიხვეიეთ გუქუ,  
ოდიარუნაქუ თის გამოიწყინდუ გურქუ უკანწყინექ ნაბოგას უსქეკამაშო რჩელსუ ყახაზურო იხანალუქ,  
ვარულუნაქ რქელსუ ჩქიმ ჯვეშეფიშ ნათოლა რექ, ვადორხვამუ მიქუ წინკეს ყუნსუ ნაფენთეუ,  
კისერ მიტას იქუ ცაში ნოთუ გერძე ფერი, იდანდალუქ, სქიბუ,  
მითი ღირსუანი რენი, თიშ სახელი სქიდუ.

**შვიშვართი ძართმელაბო**  
ერთიანეთი  
შეიყვარეთ, ქართველებო ერთმანეთი,  
მიწა-წყალი, ეგ მამული ჩვენ გვაქვს ერთი,  
სამშობლოსი სიყვარული გვენთოს ერთი,  
მტრის წინაშე რომ გეფარადვებს მადლით ღმერთი.

იმ დიმილის ლამაზ ბიჭებს დაგუჩოქოთ,  
მტრის წინაშე ვაქვაცურად რომ იბრძოდნენ,  
რომ დაეცნენ ბრძოლის ველზე და სახეზე,  
მშობელ მიწის სიყვარული რომ უკრთოდნენ.

სანთლად, სანთლად აენთება სახელები,  
ლამაზ ბიჭებს სიკვდილამდე რომ დაჰქონდათ,  
საქართველოს სიყვარული მკერდში ელოთ  
და სიცოცხლე ჩვენზე მეტად რომ უნდოდათ.

დამიჯურეთ, ქართველებო, დედის გული ვერასოდეს, ვერასოდეს გაიხარებს,  
თუკი ერთად არ დავდებთ მტრის წინაშე,  
ღმერთიც გვიწყენს, არასოდეს გაგვახარებს.

შეიყვარეთ, ქართველებო ერთმანეთი,  
მიწა-წყალი, ეგ მამული ჩვენ გვაქვს ერთი,  
სამშობლოსი სიყვარული გვენთოს ერთი,  
მტრის წინაშე რომ გეფარადვებს მადლით ღმერთი.

**შავი წიგნი**  
ქართველებო, წაიკითხეთ „შავი წიგნი“,  
იმ მოყვითის, ბუაჩიძის დაწერილი. საქართველო სიზმარივით გაგვიტრება,  
თუ ვერ ჩავწვდით იქ რაც არის აღწერილი.

საქართველოს ირგვლივ მტრები ასევია,  
ის ყორნები, დაჭრილ არწივს რომ ერჩიან,  
გულუბრყვილო ქართველები ტახტზე ზიან და უღმერთოდ ქირქილებენ, რას გვერჩიან?

ქართველებო, ეგ ფილა ამოივსო, ღვინით სავსე კი არა და ცრემლით სავსე.  
ვინც ადინა, ქართველ დედას იგი ცრემლი,  
მიაწოდეთ ეგ ფილა ისევ მასვე.

იმ აპრილის საქართველოს კვლავ მოგუხმით,  
მტერს რომ მისი გახსენება შიშის ზარს სცემს,  
მოძალადე სანთლებით რომ უკუბადვს  
და ერთობის ჩვენ რომ ძალა დაგვანახებს.

„შავი წიგნი“ საქართველოს მტრებს თუ აკრთობს, სამრეკლოდან ზარების ხმა თუკი გვესმის,  
ყვა-ყოვანათა ალესილი მზერა მაკრთობს,  
დაფლეთილი საქართველოს კენესა მესმის.





კი ქრისტიანები?

დიდი ხანია სომხები ასეულობით ეკლე-  
სიებს გვევლინებიან, მაგრამ ბოლო დროს,  
უკვე, ოფიციალურად, მუქარის ტონით მოით-  
ხოვენ ამ ეკლესიების მათთვის გადაცემას.  
და არა მხოლოდ ეკლესიის გადაცემას!  
მსოფლიო საზოგადოებას თავს აბეზრებენ  
იმის მტკიცებით, რომ დღევანდელი საქარ-  
თველი ტერიტორია დიდი სომხეთის ძირ-  
ძველი მიწა იყო. რომ ამ მიწაზე, სომხეთის  
ხრდილოეთ პროვინციაში, ტიგრან მეფემ  
ბასკეტიდან მონებდა გამორეკელი ქარ-  
თველთა წინაპრები დასახლა და დაასაქმა  
– მუშაობდნენ „გრუნტიკებად“. პროვინციის  
მიხედვით მათ რუსები „გრუნინები“ დაარ-  
ქვეს და ამ „გრუნტიკ-გრუნინებს“ სომხებმა  
ანბანი მისცეს, წერა-კითხვა ასწავლეს, ადა-  
მიანებდა აქციეს... უმადურმა ქართველებმა  
კი ყოველივე ეს დიდი დიკეთე დავიწყეს,  
ამაგი წყალში გადაუყარეს და სომეხ  
აშოტას დაწერილი „გეოგრაფიკული“ მიო-  
პარეს, დაისაკუთრეს... ასევე მოიპარეს და  
დაისაკუთრეს „ჩაკრულ“, „მრავალყამიერი“,  
„სულიკო“, „ხორუმი“...  
ამ სომხებმა ვაი-მეცნიერებმა შრომისმოყ-  
ვარე სომხებს თავება აუბნიეს, დაჯერეს  
ის, რომ სომხებმა საფუძველი ჩაუყარეს ცი-  
ვილიზაციას, რომ გენიალური მწერლები,  
პოეტები, მხატვრები, მხედართმთავრები...  
უკლებლივ ყველა წარმოშობით სომხები  
არიან...  
იღია ჭავჭავაძემ საკადრისი პასუხი  
გაცა დასაბუთებლად, მათ, ვინც ამცრობდა  
ქართულ კულტურას, შეგნებულად ამხინ-  
ჯებდა ისტორიულ ფაქტებს, ქართველი ერის  
მიერ შექმნილ თვითმყოფად სულიერი თუ  
მატერიალური კულტურის ძეგლებს სომხები  
ხალხის საკუთრებად აცხადებდა, მაგრამ  
შეაყარე კვლავ ცვრცვი!  
სომხებმა მადა არამე თუ დაკარგეს, არა-  
მედ უფრო მოემატათ თუ ადრე შოთა რუ-  
სთაველის სომხობას ჯერდებოდნენ, დღეს  
აკაკი წერეთელი სომხად გამოაცხადეს!  
უძველესი დროის ფილოსოფოსებმა, ისტო-  
რიკოსებმა, გეოგრაფებმა დატოვეს ნაშრო-  
მები, სადაც ლაპარაკია სამყაროზე, კოლხურ  
ტომებზე, რომელთა საცხოვრისი გადაჭიმუ-  
ლი იყო პირენეიდან კავკასიამდე, მოიცავდა  
მესოპოტამიას, წინა აზიის უდიდეს ტერი-  
ტორიებს... მათ საფუძველი ჩაუყარეს შემე-  
რულ და მედიტერანული კულტურას... პლა-  
ტონი წერს ოკეანეში ჩადიარულ ატლანტიდის  
შესახებ, სადაც პროტოკავკასიელები ცხო-  
ვრობდნენ.  
ყოველივე ეს ხდება ათასწლეულების  
მიღმა, იმ დროს, როდესაც სომხების ხსენებაც  
კი არ იყო.  
ძველი ბერძენი ფილოსოფოსები აღნი-  
შნავენ იმას, რომ ელინების მოხელამდე  
მცხოვრები აბორიგენების ენიდან ბერძენებმა  
მრავალი სიტყვა ისესხეს და უამრავი ტო-  
პონიმი დღესაც არსებობს. ენათმეცნიერე-  
ბისათვის სადავო არ არის, რომ ქართველი  
სიტყვა (დღეს) ინდოევროპულ ენებში მცო-  
რედნენი ფონეტიკური ცვლილებებით დამ-  
კვირდა და არა მხოლოდ ეს სიტყვა!  
ძველი ბერძენი ფილოსოფოსები (თაღეხი)  
ხმარობდნენ ტერმინს „იგროსი“, „იგრი“,  
რაც წყალს ნიშნავს. ქართულ მითოლოგიაში  
„იგრი“ წყლის ღმერთს ნიშნავს, სიცოცხლის

საწყისს. ეს სიტყვა დაკავშირებულია მდო-  
ნარე ი-(ნ)-გიტონს, რომელიც თავდაპირველად  
ადგილობრივი კოლხების ღმერთი იყო და  
შემდგომ, როცა ელინები ქართულ მითო-  
ლოგიურ ეკოსს, „ამირანს“ გაეცნენ, არა  
მხოლოდ „იგრი“ ისესხეს, არამედ თვით  
ამირანი პრომოქოსად აქციეს (შ. ნუცუბიძე,  
„შრომები, ტომი VIII, „ქართული ფილოსოფიის  
ისტორია“. თბილისი, 1983, გვ. 101-102).  
ლაზურ-მეგრული ენის ბერძნულ ენაზე  
გავლენის საკითხი წამოაყენა ცნობილმა  
ლინგვისტმა ვან-ჰენეკენმა 1912 წელს. თრა-  
კიაში ნაპოვნი წარწერის ანალიზის საშუა-  
ლებით დაასკვნა, რომ ჩვენს წელთაღივცხ-  
ვამდე V საუკუნეში აშკარად იგრძნობა  
ძველი ქართული ენის გავლენა ინდოევრო-  
პულ, კერძოდ ბერძნულ ენაზე. ამის შესახებ  
ვან-ჰენეკენმა მოხსენება გააკეთა ლინგვი-  
სტო IV ინტერნაციონალურ კონგრესზე  
(შ. ნუცუბიძე... გვ. 105-106).  
ასე, რომ, სომხები მეცნიერების დიდი სურ-  
ვილი – სომხური ენა გავლენას ახდენდა  
ლაზურ-ჭანურ-მეგრულ ენაზე. მათ სურვი-  
ლადვე რჩება და მას აღსრულება არ უწყ-  
რია.  
იმ მისიონერთა ხელნაწერები, რომლებიც  
ცენტრალურ ამერიკაში მოღვაწეობენ, შეი-  
სწავლეს ამერიკელმა და ევროპელმა მეც-  
ნიერებმა. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ,  
რომ მაიას ტომში ცივილიზაცია ატლანტაზე  
მცხოვრებმა კოლხებმა შეიტანეს.  
ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე  
ადამიანის გენეტისი სპეციალისტები მი-  
ტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აც-  
ხადებენ, რომ ევროპის მოსახლეობის დიდი  
ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წა-  
სულიები (მაშინ კავკასიაში სომხები და  
თურქმანული ტომები არ ცხოვრობდნენ,  
არც ოსები). კავკასიაში ჩამოყალიბდა თე-  
ოკანინთა მოღვაწე და აქედან გავრცელდა  
ევროპასა და ამერიკის კონტინენტზე (დაწ-  
ვრილებით ბატონ კლიმენტი შელიას ნა-  
შრომში „საქართველო (კოლხეთი) – კაცო-  
ბრიობის ცივილიზაციის აკვანი“. იტგდება  
გაზეთ „იღორის“ ფურცლებზე).  
დიდი გერმანელი მიაზოლოგი ჰეგელი  
სხვა რასებთან შედარებით კავკასიურ რასას  
უპირატესობას ანიჭებს. „კავკასიურ რასა-  
შიდა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას  
თავისთავთან... და მით მსოფლიო ისტორიას  
წარმოშობს“ (ჰეგელი, „გონის ფილოსოფია“,  
ტბ. 1984 წ. გვ. 61-63).  
ამ უპირატესობის ფიზიოლოგიურ სა-  
ფუძველად ჰეგელს თავის ქალის აგებულება  
მიანი. თავის ქალის აღნაგობა განისა-  
ზღვრება პირიზონტალური და ვერტიკა-  
ლური ხაზებით. ამ ორი ხაზით შექმნილი  
კუთხე განსაზღვრავს გონებრივ შესაძლე-  
ბლობებს. ცხოველებს ეს კუთხე მახვილი  
აქვთ. რაც ბლავია ეს კუთხე, მით უფრო  
„აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თა-  
ვისთავთან... და მით მსოფლიო ისტორიას  
წარმოშობს“.  
ჰეგელი წერს, რომ ასეთი თავისქალა  
ქართველებს, იერქეხებს და იტალიელებსა  
აქვთ (იტალიელებმა წინაპრები ხომ ძველი  
კოლხები, ეტრუსკები და პელაზგები არიან).  
ცნობილი მეცნიერების პანტიუხოვის, ერ-  
კერტის, შანტის და სხვათა გამოკვლევებით

სომხები ბრახციველები არიან. მათი თავის-  
ქალები განსხვავდება კავკასიელთა თავის-  
ქალებისაგან. კავკასიაში ნაპოვნი უძვე-  
ლესი ნამარხი თავისქალები არც ერთი არ  
წარმოადგენს ბრახციველს, რაც იმაზე მე-  
ტყველებს, რომ სომხები კავკასიაში მოგ-  
ვიანებით დამკვიდრდნენ.  
ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოსდა  
სომხეთი სომხების სამშობლო არ არის. რა  
თქმა უნდა, სამშობლო და აქ შექმნეს ის  
კულტურა, რომლითაც ბევრი ევროპელი  
ერი იამაყებდა.  
ბუნებრივია, ქართველ კაცს აღიზიანებს  
სომხები მეცნიერების უაზრო პრეტენზიები  
და იძულებული ვართ ზოგჯერ მწარულად  
გუპასუხოთ. ალბათ, ეს გეგმატება. სომხები  
ხომ გიჟყარაცულებს გეგმატებიან!  
როცა სომხები ქართველთა მიერ აშენე-  
ბულ მართლმადიდებელ ეკლესიებს გვედა-  
ვენბათ, თავად არიან კი ქრისტიანები?  
არიან კი ქრისტიანები? თითქოს მკრეხე-  
ლური, დიდიხომები კითხვაა, მაგრამ ამ  
კითხვის დახმა გამაბედინა გრიგორიანული  
ეკლესიის ისტორიამ, წმინდანთა, მსოფლიო  
საეკლესიო კრებების, ცნობილ თეოლოგთა  
ავტორიტეტულმა პასუხმა ამ კითხვაზე.  
წმ. გრიგოლ განმანათლებელმა მეფე  
თრდატი ქრისტიანად მოაქცია, რომელმაც,  
თავის მხრივ, სომხები გააქრისტიანა. ამის  
შემდეგ მეფე თრდატი საეკლესიო ვითარებაში  
გარდაიცვალა (მოწამლეს).  
დოგმატური პრეტენზიების გამო, ალბათ  
უფრო იმის გამო, რომ სპარსეთის მეფის ხო-  
სროს გული მოეყუდა, სიმხური ეკლესიის  
მღვდელმთავრები მართლმადიდებლობიდან  
სომხების გამოვარდნას თანდათან ამზადებდ-  
ნენ. „სპარსელებმა ეს ქრისტიანულ სამყაროში  
განხეთქილების შესატანად და ბიზანტიის  
დასახსტვლად ლჭირდებოდნენ“ (რ. ჯალა-  
ლანი, დ. ქობალია, ნ. გოგუა, „ბროტუსა  
სძლია კეთილმან...“ ტბ. 2007 წელი, გვ. 31).  
პოლიტიკური და ალბათ ფინანსური მო-  
საზრებებით არაბების და სპარსელების  
საამებლად სომხურმა ეკლესიამ დიოფიზი-  
ტობა უარყო და მონოფიზიტობას მიემხრო.  
სომხებმა კათალიკოსმა ითანე მეოთხემ დიო-  
ფიზიტობა ანათემას გადასცა: „ანათემა მას,  
ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო,  
რომ იგი იყო ხორცშესხმული და გადაიტანა  
ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადა-  
მიანის მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ  
აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ  
ბუნებრივად, ანათემა მას!“  
მონოფიზიტი სომხები უარყოფენ ქრი-  
სტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს დოგმატს –  
ძრისტუს ღმერთბატობას!  
ცისა და ქვეყნის, ხილული და უხილავი  
ქმნილებების შემოქმედი ღმერთი ადამიანი  
ხდება, რათა ცოდვისაგან განათავისუფლოს  
ადამიანი და ჯოჯოხეთისაგან იხსნას.  
„ეს ღმერთმა როგორც ღმერთობა ადა-  
სრულა დაწყებული თავისი განკაცებით და  
დამთავრებული ზეცად ამაღლებით. ღმერ-  
თობა დააფუძნა ეკლესია, რომელშიც იგი  
სულიწმინდას საღვთო საიდუმლოთა და  
სათნობათა შემოქმედებით აღასრულებს ადა-  
მიანთა სხნას“. – წერს სერბი არქიმანდრიტი  
იუსტინე ნაშრომში „მართლმადიდებელი  
ეკლესია და ეკუმენიზმი“ („სიტყვა მართლისა

სარწმუნოებისა“, ტ.V. ტბ. 1995. გვ. 79).  
როგორ აღასრულებს მონოფიზიტი სო-  
მხები ევქარისტიის (ზიარების) საიდუმლოს,  
როცა წმ. მამები ზიარების არსს ასე გან-  
მარტავენ: „ღმერთი ადამიანად იქცა, რათა  
ადამიანიც ღმერთად ქვეყლიყო“.  
სომხებმა კათალიკოსმა ითანე მეოთხემ  
კი ყველა ანათემას გადასცა, ვინც ქრისტეს  
ღმერთობად ბუნებას აღიარებს!  
„სიტყვა – ღმერთის განხორციელებით  
უფალი იესო ქრისტე გახდა ხილული და  
უკვდავი სინამდვილე ცათა და ქვეყნისა...  
ეკლესია ქრისტეს სხეულია. ეს იგივეობა  
არსებითა, არსებისმიერა: ეკლესია ევქა-  
რისტიანთა, ევქარისტიანთა – ეკლესიაში. სადაც  
ღმერთობა იესო ქრისტე არ არის, იქ არც  
ეკლესიაა, ხოლო სადაც ეკლესია არ არის,  
იქ არც ევქარისტიანთა. ყოველივე, რაც ქრი-  
სტეს, ეკლესიის და ევქარისტიის გარეშეა,  
მწვანებლობა, არა-ეკლესიაა, ანტი-ეკლესია,  
ფსევდო-ეკლესია“ (არქიმანდრიტი იუსტინე-  
ნი).  
პაუელ მოციქული გვასწავლის: „კურ-  
თხევის სახმისი, რომელსაც ჩვენ ვაკურ-  
თხებთ, განა ქრისტეს სისხლის ზიარება არ  
არის? პური, რომელსაც ჩვენ ვტევთ, განა  
ქრისტეს სხეულია ზიარება არ არის?“ (I  
კორინთელთა 10, 16).  
ამის შემდეგ, ჩემთვის ძნელი გასაგებია  
როგორ არის მონოფიზიტი ქრისტიანი, რომ-  
ელიც ქრისტეს კაცობრივ ბუნებას არ  
აღიარებს?  
მონოფიზიტობა არა მხოლოდ ზიარების  
საიდუმლოს უარყოფს, არამედ თვით ჯვარ-  
ცმას, აღდგომასაც... უხორცო ღმერთს ჯვარს  
ვერ გააკრავ, ადამიანივით ტკივილებით  
ვერ დაიტანჯება. ღმერთს ვერ დაასვლავ-  
ებ...  
ევქარისტიის საიდუმლოს, ჯვარცმისა და  
აღდგომის უარყოფით მწვანებლები ემშაკის  
ჩაგონებით ადამიანებს მონანიების, ღმერთთან  
ზიარებისა და გადარჩენის საშუალებას  
უსობენ.  
როგორ შეიძლება თავის აშენებულად და  
საკუთრად სათვალელ მართლმადიდებელი  
ეკლესია, რომელიც წმ. მამების განმარტებით,  
მსოფლიო საეკლესიო კრებების ძალით ღმერ-  
თობა იესო ქრისტეს სხეულია, სადაც სხვა  
საიდუმლოებებთან ერთად ზიარების საი-  
დუმლო აღესრულება. მონოფიზიტებისთვის  
კი ქრისტე უსხეულია, მაშასადამე მათთვის  
ეკლესია ქრისტეს სხეული კი არ არის,  
არამედ რაღაც დივინების ნაგებობა.  
ქართული მართლმადიდებელი ეკლესია  
გრიგორიანელებს სჭირდებათ არა როგორც  
უფლის სხეული, არამედ როგორც ისტო-  
რიული ნაგებობა, რათა თვითონაც დაიჯერონ  
და სხეულები ადვილად მოატყონ იმაში,  
რომ საქართველოს ტერიტორია ოდითგანვე  
დიდი სომხეთის ძირძველი მიწაა. ეს რომ  
ასე არ იყოს, ამდენ ეკლესიებს სხვათა მი-  
წაზე რისთვის ავაშენებდით? ან ვინ აგვა-  
შენებინებდა?  
დამეთანხმებით, ეშმაკის ჩაგონებით, ვი-  
რემშია კული ჩანაფიქრია.  
**თმანტი კუმლაშილი,**  
**წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. მცხე-  
თის სასულიერო სემინარიის ყოფილი  
პედაგოგი.**

ალეოჩენა ნოქალაქივში საქართველოს ისტორიის

**გარკვეულ პერიოდში სვლილებებს შეიჭრანს**  
ქართულ-ბერძნული საქართველოს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნოქალაქეში ერთ-ერთი მუშაობის შემდეგ ბერძენი მეომრის სამხედრო აღჭურვილობა აღმოაჩინა. არქეოლოგების აღმოჩენა ძველი წელთაღ-  
რიცხვით VI საუკუნით თარიღდება. ეროვნული მუზეუმისა და ვინეესტერის უნი-  
ვერსიტეტის პროფესორ დავით ლომი-  
ტაშვილის თქმით, აღმოჩენა უნიკალურია და  
შეიძლება საქართველოს ისტორიის  
გარკვეულ პერიოდში ცვლილება შეიტანოს.  
„ამ პერიოდში ბერძენებმა კოლხებს სავაჭრო-  
ეკონომიკური ურთიერთობა შექონდათ, მაგრამ  
მეომრის აღჭურვილობის აღმოჩენა ცხადყო-  
ფს, რომ შესაძლოა ქვეყნის სამხედრო ოკუ-  
პაცია მომხდარიყო“, – მიიჩნევს დავით  
ლომიტაშვილი და დასძენს, რომ აღმოჩენამ  
შესაძლოა, საქართველოს ისტორიის  
გარკვეული პერიოდი შეცვალოს.  
ნოქალაქეში არქეოლოგების ჯგუფმა  
კერამიკული და საყოფაცხოვრებო ნივთებიც  
აღმოაჩინა. ბრიტანელი და ქართველი არქე-  
ოლოგებისგან შემდგარი ჯგუფი სენაკში

ჩახვლას სექტემბრის ბოლოსაც გეგმავს. ამ  
დროისთვის შეისწავლიან აღმოჩენილ საყო-  
ფაცხოვრებო კერამიკულ ნივთებს.  
წლებიანდელი არქეოლოგიური გათხრები  
პრეცედენტის უნივერსიტეტმა დააფინანსა.  
მომავალი ხუთი წლის განმავლობაში კი  
მას ვინეესტერის უნივერსიტეტი დააფი-  
ნანსებს.

**კოტე შსართია,  
საქინფორმის კორ.**



მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც კმინდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასობით იწვევებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიხსნიან საზოგადოების განვითარების უძველესი საფეხბურთო საშუალებების შესახებ. მათი მემკვიდრეობა მათი სპორტული მემკვიდრეობის საფუძვლიან საფუძვლად დასაყრდენი გახდა. მათი მემკვიდრეობა მათი სპორტული მემკვიდრეობის საფუძვლიან საფუძვლად დასაყრდენი გახდა. მათი მემკვიდრეობა მათი სპორტული მემკვიდრეობის საფუძვლიან საფუძვლად დასაყრდენი გახდა.

**დანიელ პასარელა**  
დაიბადა 1953 წლის 25 მარტს, არგენტინაში. მამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "სარმიენტო", "რივერ პლეტი" არგენტინა, "ფიორენტინა", "ინტერი" იტალია. დანიელ პასარელა იმ იშვიათ ფეხბურთელთა წრეს მიეკუთვნება, ვინც გუნდის კაპიტნის რანგში გახდა მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში. მისი ტრიუმფი შედგა 1978 წელს, მსოფლიო გუნდის "რივერ პლეტი"-ს კუთვნილ სტადიონ "მონუმენტალეზე", როცა დანიელ პასარელამ თავის ზემოთ აღმართა მსოფლიო ჩემპიონის ტახტი. ფეხბურთელი ამას საფეხბურთო იმსახურებდა, რადგან, როგორც დაცვის ხაზის საიმედო ჩამკვეთი, დიდი რაოდენობით არგენტინის ნაკრების გამარჯვებაში. მაგრამ, იგი, ამდენ დროს, არგენტინის თითქმის ყველა შეტევის წამომწყობი და ორგანიზატორი გახლდა. იგი ხშირად ჩნდებოდა მოედნის შუა ხაზზე და დიდ დახმარებას უწევდა თავდასხმელებს მარჯვენა კმინდნის და არდელის. პასარელას უარყოფითი სახიფათო უძლიერესი დარტყმები და გამოგონებელი სიზუსტით ჩამოწოდებული კუთხურები დიდ თავსატეხს უჩენდა მოწინააღმდეგე გუნდის დაცვას. 1978 წელს მიღწეული დიდი წარმატების შემდეგ პასარელა იტალიელურაში შეიძინა საკმაოდ დიდ თანხას, სადაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი გახლდა. სწორედ იტალიაში დასრულდა მან საფეხბურთო კარიერა და კვლავ არგენტინის მიაშურა, სადაც "რივერ პლეტს" ჩაუდგა სათავეში, როგორც მწვერული. მოგვიანებით იგი არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გახდა და იმდენი მოახერხა, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის საფეხბურთო ნაკრები მეოთხედფინალამდე მიიყვანა. ამის შემდეგ დანიელ პასარელამ ბუენოს-აირესში საფეხბურთო სკოლა გახსნა და არაერთი კარგი ფეხბურთელი აღუზარდა სამშობლოს.

**როჟე პიანტონი**  
დაიბადა 1931 წლის 25 დეკემბერს, საფრანგეთში. თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "ნანსი" და "რემსი". როჟე პიანტონი ფეხბურთელთა იმ კორპორაციის უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდა, რომელსაც მოუწია საფეხბურთო სისტემით 3-2-5 თამაშში. ეს გახლდათ შემდეგი ფეხბურთი, რადგან მოედანზე ხუთი თავდასხმელი გამოდიოდა. შემდეგ კი გამოვიდა "დაცვითი" ფეხბურთის სტილი, როცა მოედანზე გამოდიოდა 4 ან სულაც სამი თავდასხმელი. პიანტონი, რომელმაც თამაში ჯერ "ნანსიში" დაიწყო, შემდეგ კი "რემსში" გადაბარდა, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. მამის საფრანგეთის ნაკრებში "გრეგენადა" თავდასხმის სამეული - პიანტონი, ვენსანი, ფონტენი, რომელსაც ვერაფერს უხერხებდა მოწინააღმდეგე გუნდის დაცვა. სწორედ ფონტენმა დაამყარა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დღემდე მოუხსნელი რეკორდი, როცა ფინალურ მატჩებში 13 გოლი გაიტანა. 1959 წელს, პიანტონმა, "რემსის" შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალამდე მიიღწია, მაგრამ გათამაშების ბოლო ეტაპზე დამარცხდა მასზე ბევრად ძლიერ მადრიდის "რეალთან". სულ, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში როჟე პიანტონმა ჩაატარა 38 მატჩი. სანაკრებო დებიუტი შედგა 1952 წელს, ქალაქ დუბლინიში, რომელიც მეტად იღბლიანი გამოდგა ახალბედა ფეხბურთელისათვის - პიანტონმა მატჩის სამოცდამეოთხე წუთზე გოლი გაიტანა ირლანდიელთა კარში, რამაც საფრანგეთის ეროვნული ნაკრები დამარცხებას გადაარჩინა. ათი წლის შემდეგ, როცა მან უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ფინეთის ნაკრების წინააღმდეგ, პიანტონმა მართლაც უღამაზესი გოლი გაიტანა. "რემსის" შემადგენლობაში მისი პარტნიორი გახლდა ვან ვინსენტი და ამ შედეგიან დუეტს სახელი ჰქონდა განთქმული არა მხოლოდ ევროპის კონტინენტზე.

**ამადეო კარისო**  
დაიბადა 1926 წლის 12 ივნისს, არგენტინაში. თამაშობდა კლუბებში "რივერ პლეტი" (არგენტინა), "ალიანსა" (პერუ), "მილიონარისი" (კოლუმბია). ყველაზე დღევანდელმა სპორტსმენმა თავისი კარიერის განმავლობაში რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი, როგორც მეკარის კარიერა დაიწყო მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში და დასრულდა სამოციან წლებში. ეს უძლიერესი პიროვნება და ფეხბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატი 44 წლის ასაკამდე მონაწილეობდა არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატში და 21 სეზონის განმავლობაში 522 მატჩში მიიღო მონაწილეობა. დღემდე მოუხსნელი რეკორდი გახლდათ ის, რომ კარისო ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშობდა არგენტინის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში და ბოლოს მონაწილეობა მიიღო 1958 წლის შეგვიანო გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. ფეხბურთის სამყაროს დღესაც კარგად ახსოვს მამის არგენტინის ნაკრების კატანტროფული მარცხი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან ანგარიშით 6:1, რასაც, როგორც კატანტროფული მარცხისას ხდება ხოლმე, მთლიანად მეკარე ამადეო კარისოს აბრალდებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მთლად ასე იყო საქმე, რადგან რამდენიმე თვის შემდეგ კარისოს კვლავ უხმეს არგენტინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, "მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში" მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 1960 წელს გაიმართა ბრაზილიაში. აქ არგენტინელებმა დაამარცხეს ძირითადი კონკურენტები - ბრაზილიელები და ინგლისელები და ტურნირის ჩემპიონობა მოიპოვეს. "რივერ პლეტიდან" წასვლის შემდეგ კარისო მონაწილეობდა პერუსა და კოლუმბიის ჩემპიონატებში, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ვეფხვის რეაქციის მქონე სპორტსმენი, რადგან ასაკმა მაინც დაამწია დალი მის უსახურეს შესაძლებლობებს. შემდეგ იგი ახალგაზრდებს წვრილობდა.

გიორგი ჯალალანია

იუმარი

- უფროსის სიცილზე უფრო უკადამდე არაფერია...  
- რომ იცოდეს, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ... მაგრამ, თუ გაგიგებ, რომ მდლატობ...  
- ნუ გეშინია, ვერ გაიგებ...  
- იუსტიციის სამინისტროში ციხის ახალი უფროსის კანდიდატურას იხილავენ.  
- და თქვენ ფიქრობთ, - ეკითხებიან კანდიდატს, - რომ ამ კაცისმეგობრებთან და მახინჯებთან გამკლავებას შესძლებთ.  
- შევძლებ, - აცხადებს კანდიდატი, - ვინც უკმაყოფილო დარჩება, კინოსკერით გამოკვავდება...  
- მუზეუმში ვენერას ქანდაკებასთან ცოლ-ქმარი ჩერდება:  
- დედაა, რა უფო ამ ქალმა ხელი? - უკვირს ცოლს.  
- იჭამე ფრჩხილები და მასე მოვიგა შენც.  
- ბატონო დირექტორო, ძალიან გთხოვთ, ხეკლ ჩემთან მობრძანდეთ სახლში. პატარა ვახშამი გვინდა მოგიწყოთ.  
- არ შემიძლია, დაკავებული ვარ.  
- აგაშენათ ღმერთმა, დიდი მადლობა!  
- კახელს სომეხი ნათესავი ესტუმრა. სვამენ.  
- ხელა, ერთიც მე უნდა ვთქო, - ჭიქა ასწია სომეხმა, - ამ ჭიქით დედიშენის შევსვათ.  
- რათა დედიშენისა, მამინებისა შავსვათ.  
- არა, ჯიგარ, დედიშენისა უფრო თბილია.

სომხური საინფორმაციო საშუალებების სფეროში, პირველი ეპოქა სომხური ნაყოფის ყოფილან

**(მე-2 გვერდიდან)**  
გერმანული მოგზაური აღწერა კიორტე თავის "ანატოლიურ ესკიზებში", რომელიც მან თურქეთში მოღვაწე ცნობილ გერმანულ მეკლავარს კოლმარ ფონდერშოლცს უძღვნა და რომელიც კოლმარ სიტყვებს ქარს არ ატანს, გამოთქვამს შემდეგ აზრს: "ყველა, ვინც ამ პროვინციაში შეხება შიდა ადამიანთა ძირითად ბირთვთან, არ შეიძლება პატივისცემითა და სიყვარულით არ განიშტავალოს თურქთა მიმართ, უპატივემელოდ არ გამოაშუქავოს ბერძენთა მიმართ და ზიზღით არ განიშტავალოს სომხებისადმი... ყველაგან მართლდება ანდაზა, რომ ბერძენს ძალუძს ორი ებრაელის მოტყუება, სომეხს კი შეუძლია მოატყუოს ორი ბერძენი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ანატოლიაში სადმე მოგატყუებს, ესე იგი, საქმე სომეხთან გქონიათ". ავტორს ასევე მოჰყავს ესკი-შეხიერების - ერთ-ერთი მსხვილი მოქარაგნის სიტყვები: "როცა რაიმე საქმესთან დაკავშირებით ვურიგდები თურქს, მასთან წერილობითი კონტრაქტის გაფორმება არ მჭირდება, რადგან მისი სიტყვაც საკმარისია. ბერძენთან ან სხვა ლეგიტანელთან პირობებს წერილობით ვაფორმებ, რადგან ეს საჭიროცაა და სასარგებლოც. სომეხთან არც რაიმე წერილით მინდა საქმის დაჭერა, რადგან მათი სიცრუისა და ინტრიგებისგან ვერცერთი წერილობითი პირობა ვერ დაგინსნის".  
მკაცრად თუ განვსაზღვრავთ, სომხურ ინტელიგენციას კარგად აქვს გააზრებული, რომ მისი ჯილაგი მთლად კარგი რეპუტაციით ვერ სარგებლობს, კავკასიის საკითხებში გაუთვითცნობიერებელ ხალხს ისინი შემთხვევით არ წარუდგებიან ბოლოდნენ ხოლმე "ქართველებად", ზოგჯერ კი "ჩერქეზებადაც". შემთხვევითი არც ის არის, რომ სომხებისადმი გარკვეული სიმპატიით განწუხებული პუბლიცისტები ერიდებიან ამ ერთ პირდაპირ დასახელებას "სომხებად" და მის მოხსენიებზე ხოლმე "ადვილობითი იგებდნენ", "კავკასიელებად...  
...როდენ არაზუსტიც არ უნდა იყოს სომხეთის ისტორია, მასში უამრავი რამ არის ნიშანდობლივი და ჭკუისასწავლი - თხრობის უბოდიშო ტონი იქნება ეს თუ მოხმობილი ფაქტები. დაწვეული

ISSN 1987-8966 ილოხი  
კვლავი მისაქობი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95  
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია  
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, თაყაი ქორიძე, თანგიზ ჯალალანია, კლინაძე ვალია, გივი სომხიანი, ანსორ ზონია, გიორგი სიჭინავა  
გაზეთ "ილოხი" გაცნობა შეგიძლიათ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge